საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/99 "29" აგვისტო 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წერილობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლომ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, თბილისის საქალაქო სასამართლომ და თავიანთი საჭიროებებიდან გამომდინარე მოითხოვეს, რომ სასამართლოს შენობებში ფუნქციონირებდეს სასადილო, კომერციული ბანკის სალარო, კვებისა და ყავის აპარატები. კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მოითხოვა სასადილოს ფუნქციონირება 63.25 კვ. მ. და 105.4 კვ. მ. ფართებზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ - სასადილოს ფუნქციონირება 170 კვ. მ. ფართზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ - სასადილოს ფუნქციონირება 292 კვ. მ. ფართზე, კომერციული ბანკის სალაროს ფუნქციონირება 12.5 კვ. მ. ფართზე და სასამართლოს შენობაში 5 ცალი სწრაფი კვების აპარატისა და 4 ცალი ყავის აპარატის განთავსება. აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საჭიროა შესაბამისი ფართების სარგებლობაში გადაცემა კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმებით, აუქციონის საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს მის სარგებლობაში არსებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობების ზემოაღნიშნული ფართების სარგებლობაში გადაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი